წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. შაბათი, 10 ოქტომბერი 1915 წ. № 113

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.


## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ, რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

## „ხარფუხის კლუბი“

საზამთრო სადგომი მიხეილის პროსპექტი № 129—131

შაბათს, 10 ოქტომბერს

## სიმებიანი ორკესტრი

ბ-ნ ს. ი. პრესმანის ლოტბარობით.

სახელოსნოს ძალაში სხვა განყოფილებაც არ მოეპოვება.

## ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო **ქუდები**

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო

„კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინბლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ძალაში სხვა განყოფილებაც არ მოეპოვება.

ახლად დაარსებული საამხანაგო

## ფქვილის საწყობი „რაჭა“

ჰყიდის მეპურებზე და კერძო პირებზე ფქვილს ხელმისაწვდომ ფასებში. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 3. —14

## გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე

მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

## ი. თ. ბაათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

## მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში

## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

## გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მისეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

## ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

## მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

სახალხო უნივერსიტეტთან არსებული ქართული სექცია ამ თვის 12-დან ნაძალადევში (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 100) მოზრდილთათვის ჰხსნის

## სკოლას

სადაც საღამ საღამოობით იქნება სწავლა. მოკლე ხანში გაიხსნება. მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე ჩაეწერონ იქვე საღამოს 6—7 საათამდე. (3—3)


## ეკონომიურ წარმატებისთვის

როგორც ჯერჯერობით უმთავრესად სამეურნეო ქვეყანაში, საქართველოში ნაკლებად არის განვითარებული სხვა და სხვა სამრეწველო, თუ სავაჭრო დარგი. საქართველოს მარჩენალი დღეს სასოფლო მეურნეობაა. მას შემდეგ, რაც ქართველ საზოგადოებასა და ხალხში ფეხი მოიკიდა ეკონომიურ ორგანიზაციის აზრმა, ბუნებრივად მთელი ძალა მიმართული იყო სწორედ მეურნეობის აღორძინებისა და მის სამრეწველო ნიადაგზედ დაყენებისაკენ. საინტერესო ის არის, რომ ქართველმა საზოგადოებამაც და ხალხმაც თავიდანვე ალღო აართვა იმ ძალას, რომელსაცა ჰქმნის საზოგადოდ **ორგანიზაცია, ამხანაგობა, კოოპერაცია** და გაამრავლა ისინი სოფლად. საკრედიტო კოოპერაციის მესვეურნი სწორე გზას დაადგნენ და სესხს უმთავრესად სამეურნეო საქმეზედ აძლევენ წევრებს. ამ საკრედიტო კოოპერაციას მიჰყვება ყოველგვარი სამეურნეო დარგის ამხანაგობა, რომელიც თანდათან აფართოებს თვის ფარგლებს და აცხოველებს შინაგან მუშაობას. ყოველ მხრიდან ამბავი მოდის, რომ არსდება სხვა და სხვა სამეურნეო ამხანაგობა, როგორიცაა მაგ. ამხანაგობა მეხილეებისა, მევენახეებისა, მეაბრეშუმეთა, მეთამბაქოებისა და სხ. ამას წინად გაზეთებმა გვაცნობეს, რომ თუშებსაც განუზრახავთ დაარსება მატყლის, ყველის და ერბოს მწარმოებელი ამხანაგობისა. მწარმოებლებთან ერთად კავშირდებიან მომხმარებელნიც, საკრედიტო დაწესებულებანიც საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამგვარად მთელი საქართველო იფარება მჭიდრო ორგანიზაციების ქსელით, რომ ღირსეულად გაუძლვეს საერთო საერო საქმეებს. ესეთი საგულისხმიერო მოვლენა ღირსია საზოგადოების უაღრესი ყურადღებისა, მას უნდა დახმარება და გაძლოლა, მთელის ჩვენის იდეურის და ეკონომიურის სახსარით უნდა გავაღვივოთ იგი. ამ საკოოპერაციო მოძრაობას უნდა მიეშველოს ჩვენი ბანკები, საადგილ-მამულო კომისია, თავად-აზნაურობაც ჩვენი კულტურული და საქველმოქმედო საზოგადოებანი. ყველა საზოგადოებამ და ყველა შეგნებულმა კერძო პირმა თავისი იდეური ნივთიერი დახმარება უნდა მიაშველოს ამ დიად ეროვნულ საქმეს. მხოლოდ ამ სახის დიდ და ფართე ორგანიზაციას შეუძლიან იხსნას ჩვენი ქვეყანა დღევანდელი გასაჭირიდან და მისი მომავალიც განამტკიცოს. მხოლოდ მჭიდრო და მიზან შეწონილი ორგანიზაცია გაუმკლავდება იმ ათასგვარ სენსა და მტერს რომელიც ჩვენს ქვეყანას შემოსწოლია, და განადგურებას უქადის. მტკიცე ეკონომიური ორგანიზაციები მთლად გარდაჰქმნიან და ინტენსიურ ხასიათს მისცემენ ჩვენს ცხოვრებას, ისინი ააჩქეფებენ ჩვენს სიცოცხლეს და გამოააშკარავებენ ქართველი ერის ცხოველმყოფელობას. მათი შემწეობით ქართველი ხალხი სიცოცხლის უფლებას დაიმკვიდრებს, როგორც სოციალურად, ისე პოლიტიკურადაც. ამ მხრივ საქართველოში ჩვენ კონკურენტიც ვერ გვეყოლება, რადგან მწარმოებელნი მხოლოდ ჩვენა ვართ და ვიქნებით და მეტ-ხორცა შუამავლები ბუნებრივად ფერს დაჰკარგავენ, როცა საექსპლოატაციო ხალხი და საფუძველი გამოეცლებათ. გავაძლიეროთ ეკონომიური ორგანიზაციები და ყოველმხრივ ძლიერნი ვიქნებით.

## მისაბაძი მაგალითი

გაზეთ „საქართველოს“ მე-90-ე ნომერში დაწვრილებით ვუამბეთ მკითხველს იმ კონფლიქტის ისტორია, რომელიც მოხდა ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე ბ-ნ კ. ი. სვიმონიშვილისა და ამავე მაზრის უფროს გავრილოვსა და ხარჯთ-ამკრეფ ინსპექტორ ზახარიანცს შორის. მკითხველს ეხსომება რომ ეს კონფლიქტი გამოიწვია მთავრობის ამ ორ ხსენებულ პირის მიერ კანონის აშკარა დარღვევამ. თანახმად ძირითად კანონთა მეცხრე ტომისა და სახალხო განათლების მინისტრის საცირკულიარო განმარტებისა, რომელიც დაამტკიცა კავკასიის ყოფილმა მეფის ნაცვალმა და გამოქვეყნებული იყო გაზეთ „კავკაზში“ ამ წლის 16 ივლისის თარიღით, თავად-აზნაურთა წინამძღოლებს ეკისრებათ თავმჯდომარეობა გაუწიონ იმ თათბირებს, რომელმაც უნდა მოაგვაროს მაღალ პირველ-დაწყებითი სკოლების გახსნის საქმე და დაასახელოს პუნქტები, სადაც საჭიროცაა და სასურველიც რომ ასეთი სკოლები იქმნას გახსნილი. ბორჩალოში მაზრის უფროსი და ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორი ზანარიანცი ამ კანონს გადაუდგენ, ბ-ნი სვიმონიშვილი მიუხედავად ამ უკანასკნელის განმეორებული განცხადების თავის უფლების შესახებ, ახლოს არ გაიკარეს, გამართეს თათბირი, სადაც, ხალხის საჭიროების მცოდნეთა დაუსწრებლად, ბიუროკრატიულად გადასწყვიტეს საქმე. ბ-ნი კ. ი. სვიმონიშვილი არ დაკმაყოფილდა ენერგიული პროტესტით, რომელიც კრებაზევე განაცხადა და საქმე განასაჩივრა ვისთანაც ჯერ იყო. დღეს მინდა მოვახსენო მკითხველს, რომ ამ განსაჩივრებამ და თავის უფლების გამოქომაგებამ ამაოდ არ ჩაუარა ბორჩალოს მაზრის წინამძღოლის მოადგილეს ბ-ნ კ. ი. სვიმონიშვილს. სათანადო მთავრობამ გააბათილა წინამძღოლის თავმჯდომარეობის გარეშე მომხდარი თათბირის დადგენილებანი და მოწვეულ იქმნა ახალი თათბირი, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი კ. ი. სვიმონიშვილი. თუ პირველ თათბირზე უცხო ტომის სამი ოთხი ჩამოსული მოხელე, როგორც მაგ. ბ-ნი ტერ-დავიდოვი, მელიქ-ადამოვი და ზახარიანცი თავის ქეიფისაებრ სწყვეტდნენის(?) საკითხს, რომელიც შეეხებოდა ბორჩალოს მაზრაში მცხოვრებ სხვა და სხვა ეროვნებას: ქართველებს, მაჰმადიანებს, რუსებს, მალაკნებს, ბერძნებს და სხვა და სხვა, სწორედ ამ ეროვნებათა წარმომადგენლების დაუსწრებლად, მეორედ მომხდარ თათბირზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ბ-ნი კ. ი. სვიმონიშვილი, დაესწრნენ ადგილობრივ საქმეში და საჭიროებაში ჩახედული პირები და შეძლების დაგვარად სამართლიანად გაანაწილეს მაზრაში დასაარსებელი მაღალ პირველ-დაწყებითი სკოლები. სულ დასახელებულ იქმნა ცხრა პუნქტი, სადაც ეს სკოლები უნდა გაიხსნას.

პირველ პუნქტად დასახელებულ იქმნა ალავერდი, სადაც ხუთას კომლამდე ბერძენთა მოსახლეობა ითვლება და 2—3 ათასამდე ჩამოსული მუშა, რადგანაც ალავერდის საზოგადოებამ ერთდროულ დახმარებად აღუთქვა 5 ათასი მანეთი და შეწირა ერთი დესეტინა მიწა სკოლის შენობის ასაგებად; თვით სკოლის შენობის აგებაც ალავერდის საზოგადოებამ იკისრა; ამას გარდა წლიურად 2 ათასი მანეთი მასვე გამოაქვს.

მეორე პუნქტად დაასახელეს შულავერი, რომელმაც ათასი მანეთით დახმარება შეჰპირდა მთავრობას.

მესამე პუნქტად—ახალშენი ეკატერინფელდი, მეოთხედ—ვორონცოვკა: მეხუთედ—ჯემალოღლი; მეექვსედ—დიდი გომარეთი; მეშვიდედ—გუნია კალა; მერვედ—ბაშქიჩეთი თრიალეთში და მეცხრედ—სარვანი. რომ ბატონი სვიმონიშვილი არა, არც გომარეთი და არც მისი ახლომახლო საზოგადოებები, ასე ათასამდე მოსახლე კომლი, ვერ ეღირსებოდა მაღალ პირველ-დაწყებით სკოლას და არც სარვანის საზოგადოება, სადაც იმდენივე მოსახლე კომლია, რადგანაც არც ერთი ამათგანი არ მოჰყვა მოხელე ზახარიანცებისა და ტერ-დავიდოვების სიას. საჭიროა ამ მაგალითს მიჰბაძონ სხვა ჩვენმა წინამძღოლებმა და არსად, არც ერთ შემთხვევაში თავის უფლების ნატამალი არ დაუთმონ თვითნება ბიუროკრატ მოხელეებს და ხალხისა და ერის საკეთილდღეოთ მოიხმარონ კანონით მინიჭებული უფლება.

გარეშე.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

ჩაერევა იტალეთი ბალკანეთის ომში თუ არა, თვით იტალეთსაც ეს საკითხი ჯერ-ჯერობით გადაწყვეტილი არა ჰქონია!

—

ინგლისელი კორესპონდენტი რომიდან ატყობინებს ინგლისურ გაზეთს: ის იმედი, ვითომც ბულგარელი ხალხი პატივმოყვარე ფერდინანდს გადაუდგება, ტყუილი იმედია.

ის ცნობაც, ვითომც ფერდინანდის პოლიტიკის გამო ბულგარელი ხალხი აჯანყებულიყოს, მტკნარი ოცნების ნაყოფია! ხალხსა და ფერდინანდს შორის სრული შეთანხმება მკვიდრობს და მთელი ბულგარელი ერი ფერდინანდის ზრახ-

ვას თანაუგრძნობსო. ბულგარელი ხალხი მხოლოდ იმ შემთხვევაში შეაქცევს მეფეს ზურგს და რუსეთს მიჰმართავს, უკეთუ ფერდინანდის გეგმა ვერ განხორციელდაო.

——

ვინაიდან გერმანელებმა შენიშნეს რომ ბელგიელები მოკავშირეებს ეხმარებიან და რკინის გზის ლიანდაგს ჰყრიან, გერმანელების გენერალმა ბრძანება გამოსცა: ვისაც კი ამაფეთქებელი მასალა აღმოაჩნდება, სიკვდილით დაისჯებაო.

——

ყველა მოკავშირე სახელმწიფოებმა ბულგარეთს ომი გამოუცხადეს.

——

ბალკანეთზე შეცვლილ მდგომარეობის გამო ბულგარეთი მზად არის საბერძნეთს აღმოსავლეთი მაკედონია დაუთმოს, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბულგარეთსაც ნება მიეცეს თავისი მიზანი შეასრულოს. ამ ჟამად ბულგარეთში ფიქრობენ, რომ საბერძნეთთან მორიგება ადვილიაო, რადგან მთავარი მოძულე ბულგარეთისა ვენიზელოსი თანამდებობიდან გადამდგარაო.

### ენვერ-ფაშა და ხალილ-ბეი.

ოსმალეთის დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ხალილ-ბეიმ განაცხადა: ის ზარბაზნის ხმა, რომელიც დუნაის ნაპირიდან მოისმის, ოტომანის იმპერიას ახალს ხანას უქადის. როდესაც პირდაპირი კავშირი ექმნება ოსმალეთს ცენტრალ სახელმწიფოებთან, მაშინ მოგვეცემა ჩვენც საშუალება რომ ყოველ ფრონტზე ჩვენი ძალა ავამოქმედოთ. კონსტანტინეპოლის ბჭესთან და გალიპოლის კუნძულზე გაეთხრება სამარე მოწინააღმდეგეთა გეგმასაო.

ენვერ-ფაშასაც თავისებურ ყოყლოჩინაობით დაუმატებია: დღემდე, როგორც თქვენ თვითონ მოგეხსენებათ, საშუალება არა გვქონდა ჩვენი მოქმედება თავგამოდებით ყველა ფრონტზე გვეწარმოებინა. ჩვენ უნდა ანგარიში გაგვეწივნა არა მეორე ხარისხოვან მიზნებისთვის, არამედ მთავარ ამოცანისთვის. ჩვენ რომ სხვანაირად მოვქცეულიყავით, ჩვენს გამარჯვებას ვერსად დავაგვირგვინებდით. ამ მოსაზრებით ზოგიერთი ჩვენი მიწები სხვის ხელში გადავიდა, მაგრამ მე აქ ღრმა რწმენას მოგახსენებთ, რომ ჩვენსასაც დავიბრუნებთ და მტერსაც თავის საზღვარს შორს გადავაცილებთ. მე მოგახსენებთ არ არის დედამიწის ზურგზე ძალა რომ გერმანეთის, ავსტრო-უნგრეთის სამხედრო ძლიერება დაამარცხოს!

ერთ ბერძენ ვექილისთვის უკითხავთ: მიემხრობა თუ არა საბერძნეთი მოკავშირეებსაო? მას უპასუხნია: ეგ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა მდგომარეობა შეიქმნება ბალკანეთის კუნძულზეო. ამჟამად საბერძნეთს ომის საბუთი არა აქვს და თუ სალონიკში მოკავშირეებმა ჯარი გადმოსხეს და ამას ჩასთვლის მიზეზად—ეგეც არ ვიცით, რადგან არ ვიცით საბერძნეთ-სერბეთის ხელშეკრულობის შინაარსიო. ყოველ შემთხვევაში ჩვენ ისე ვიმოქმედებთ, როგორც ამას სამშობლოსთვის სასარგებლოდ დავინახავთ და ჩვენთვის სარფა იქნებაო. ნურვინ ნუ იფიქრებს ვითომც ხალხი ერთს ფიქრობდეს და მთავრობა კი მეორეს. როდესაც მთავრობა რაიმე პასუხსაგებ საკითხს სწყვეტს, უთუოდ ხალხის წარმომადგენლებთან ერთად სწყვეტსო.

### ვაჩევის განცხადება

ბულგარეთის „სობრანიეს" თავმჯდომარეს ვაჩევს ჟურნალისტებისთვის განუცხადებია: ავსტრია-გერმანეთის ჯარი მიუახლოვდება თუ არა იმ ტერიტორიას, რომელზედაც ბულგარეთს თვალი უჭირავს, ბულგარეთის ჯარი მას მყისვე დაიჭერსო. ვაჩევის განცხადება ისე ესმით, რომ ბულგარეთი სერბიის მაკედონიის შემოერთებას ეშურებაო.

### ფრანგების ჯარი

სერბეთში შესულ საფრანგეთის ჯარს დიდის ალტაცებით მიეგებნენ. თან დიდძალი სამხედრო მასალა ჩამოიტანეს.

——

რამდენიმე დღის წინად ინგლისის აღმოსავლეთის ნაწილს ცეპელინები დასხმია თავს და ყუმბარები უსვრია. ინგლისელებს პასუხი გაუციათ. ყუმბარებს რამდენიმე სახლი დაუზიანებია და ცეცხლი გაუჩენია. დახოცილნი და დაჭრილნი ბევრნი არიან.

——

უკვე მტკიცდება ის ცნობა, რომ მართლა იტალეთს სერბეთის მისაშველებლად უარი განუცხადებია ამ ჟამად იტალეთი სხვადასხვა მიზეზების გამო სოლუნში ჯარს არ გაჰგზავნის და, რომ გაგზავნოს კიდეც ავსტრეთის საზღვარზე მდგომარეობა შეიცვლება და იტალეთისთვის სამძიმო გახდებაო. სხვაფრივ—აცხადებს იტალეთი—ყველაფრით დავეხმარები მოკავშირეებსაო.

——

გერმანელ გაზეთებში უკანასკნელ ბრძოლის გამო რუსეთთან ამბობენ: სამხრეთ რაიონში ვიდრე დნესტრამდე ბრძოლას თავგამოდებით ეწევიან და მათს უკან დახევაზე ჯერჯერობით არაფერი ითქმისო. რუსეთი აძლიერებს აღმოსავლეთ გალიციის ფრონტს პოლიტიკურ მოსაზრებით, რათა ავსტრო-უნგრეთის ჯარი რუმინეთის საზღვართან ახლო არ მიუშვასო.

——

თურმე კონსტანტინეპოლში დიდ ფაცაფუცში არიან ოსმალები: გერმანელების ჯართან საზეიმო შეხვედრისათვის ემზადებიან. სანსტეფანოში დიდს თაღებს აკეთებენ, სადაც გერმანეთის ლაშქარმა უნდა გაიაროს. ენვერფაშა აღთქმას აძლევს თავის ჯარს, ზამთარს ეგვიპტეში გავატარებთო. (უ. რ.)

——

ციურიხის სოციალ-დემოკრატების გაზეთის ცნობით, გერმანელ სოციალ-დემოკრატების ბელადი ლიბკნეხტი ბრძოლის ველზე თვალში დაჭრილა და ამ ჟამად საავადმყოფოში იმყოფებაო.

——

იტალეთის გაზეთი აცხადებს: სარწმუნო წყაროდან ვიცი, რომ იტალეთი აქამდე არც ახლო აღმოსავლეთში და არც ბალკანეთის კუნძულზე ჯარს არ გაჰგზავნისო. თუმცა ომში მონაწილეობას არ მიიღებს, მაგრამ სხვაფრივ იტალეთი მოკავშირეებს დაეხმარებაო.

——

ის ამბავი რომ ბულგარეთმა სერბეთს ომი გამოუცხადა, ხოლო საბერძნეთმა უარი შეუთვალა მოკავშირეებს, რომ მე ვერ მოგეხმარებით და იარაღს ხელში ვერ ავიღებო, რუსის დიპლომატებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა.

——

ფრანგული გაზეთი აცხადებს რომ საბერძნეთი ნეიტრალურ მდგომარეობაში დიდხანს არ დარჩება და მალე იარაღით გამოვაო.

——

მინსკის რაიონში ცეპელინებს გადაუვლიათ, ქალაქში ოცამდე ყუმბარა ჩამოუგდიათ, მაგრამ ზიანი არავის მოსვლია.

——

გერმანეთში ძალით აჯერებენ რომ უსათუოდ გერმანეთი გაიმარჯვებს და ზავიც ჩამოვარდებაო.

——

ინგლისის მინისტრს გრეის უთქვამს. როდესაც ომი ასტყდა, ბალკანეთში ერთად-ერთი სერბეთი ჩაერია და არც გვინდოდა რომ სხვა ჩარეულიყო, რადგან ომის მსვლელობა ფართო ხასიათს მიიღებდა. ოსმალეთს ყველაფერს ვპირდებოდით, რომ ნეიტრალიტეტი დაეცვა, მაგრამ ჩვენმა აღთქმამ არ იმოქმედა და ეხლა „რაც მოხდება დავითაო, "ყველა შენის თავითაო!"

ადვილი საფიქრებელია, რომ ბულგარეთს გერმანეთთან ჩუმი ხელშეკრულობა ჰქონდა: ეს იქიდან სჩანს, რომ მოკავშირეები ყველაფერს ჰპირდებოდნენ, ოღონდ ნეიტრალიტეტი დაიცავიო და მაინც არ დაიცვა. სერბეთი თავგამოდებით უმკლავდება ახლად მოწოლილს ძალას, მაგრამ ბულგარეთის ომში ჩარევამ დიდად შესცვალა მდგომარეობაო. ისიც ცხადია, რომ საბერძნეთის და სერბეთის ინტერესი ერთნაირია და მათი ბედია ან გაუძლონ ამ კრიზის ან და ორივენი დაიღუპნენ. მხოლოდ საბერძნეთის ტერიტორიიდან შეიძლება დახმარება აღმოეჩინოთ სერბეთს. როცა სალონიკში პირველი დესანტი გადავსხით, მართალია საბერძნეთის მეფემ პროტესტი გამოგვიცხადა, მაგრამ ეს სხვათა შორის იყო—გულში კიდეც უხაროდაო.

## უკანასკნელი ფოსტა

ინგლისის წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს ჰამბურგის ოთხი გემი: „პერნამბუკო", „დოლლფენი", „რონსი" და „ზედერგამი". ზოგი ლითონით იყო დატვირთული, ზოგიც ქვანახშირით.

——

გერმანეთის წყალქვეშა ნავმა ჩასძირა კუნძულ კალიბნოს მახლობლად იტალეთის საფოსტო გემი „სცილა". ფოსტა დაიღუპა. ხალხი გადაარჩინეს.

——

ინგლისური „დაილი ტელეგრაფი ირწმუნება, ინგლისმა ფორმალ წინადადებით მიჰმართა საბერძნეთს, რათა ამ უკანასკნელმა კუნძული კიპროსი დაუთმოს ინგლისს, როგორც ჯარიმა იმისა, რომ საბერძნეთი დაუყონებლივ არ გამოვიდა ბრძოლის ველზე შეთანხმების სახელმწიფოთა მოკავშირედო.

——

პეტროგრადს ჩამოვიდა რუმინეთის სამხედრო მინისტრის რწმუნებული განსაკუთრებულის მისიითა.

——

ხმებია, რუმინეთში მიემგზავრება გერმანეთის მისია, რომელსაც მეთაურობს პრინცი რეისი, რუმინეთის მეფის ნათესავიო.

——

მთავრობის წრეებში ხმა დადის, სახელმწიფო სათათბიროს 5 ნოემბრისთვის მოწვევის შესახებ, განსაკუთრებით ბალკანეთის, ამბების გამო. სესია თურმე ხანმოკლე იქნება

——

სადგურ მოლოდჩნოს ცეპელინმა ყუმბარები დაუშინა.

——

სერბეთის ფრონტზე ორი დღის ბრძოლის შემდეგ მოკავშირეებმა ბულგარებს საზღვრებისკენ დაახევინესო.

——

მტკიცდება ის ცნობა, ვითომც ვილჰელმი ბულგარეთს სტამბოლსა და სრუტეს შეჰპირებოდეს, რის სანაცვლოდ, ვილჰელმის აღთქმითვე, ოსმალეთი მიიღებს ეგვიპტეს, ტრიპოლის და სუდანს.

——

ათინის გაზეთმა „პატრისმა" გამოაქვეყნა ხელშეკრულება, რომლის ძალით გერმანეთი ბულგარეთს უთმობს ალბანეთსა და მაკედონიას.

——

დაილ ტელეგრაფი" იუწყება: ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე, რომ სერბეთის ფრონტზე წასულიყო, რადგანაც დიდძალი მუქარის წერილი მოუვიდაო.

——

რიგის რაიონში რიგიდან სამხრეთ დასავლეთით 20 ვერსზე მკაცრი ბრძოლა სწარმოებს.

——

როგორც ამბობენ გერმანელებს იმდენად რიგის აღება არ აინტერესებთ, რამდენადაც დვინსკის.

——

რუმინეთის ხალხი დარწმუნებულია რუმინეთი მალე ომში ჩაერევაო. ამბობენ მოკავშირეებს მიემხრობაო. თოფქვეშ ჰყოლია 600,000 მეომარი. შეუძლიან 1,000000 მეომრამდე აიყვანოს.

——

რუმინეთში გერმანეთის მისია წასულა. მისიის მეთაური ბატონიშვილი რაინი რუმინეთის მეფის ნათესავია.

——

სადგურ მოლოდეჩნოს ცეპელინებმა ყუმბარები დაუშინეს.

## სამართალი ჩვენში

(გაგრძელება), იხ. „საქ. № 102.

სამართლის მოწყობას მიზნად აქვს სამართლის განხორციელება, გასამართლება. ყოველი საქმის ასასრულებლად საჭიროა შესაფერი აღმსრულებელი, საჭირო იარაღი და მუშაობის საჭირო პირობები. ჩონგურის დაკვრისათვის, მაგალითად, მოითხოვება მეჩონგურე, ჩონგური და სიჩუმე...

ამისდამიხედვით **სამართლის წარმოებისათვისაც საჭიროა სამართლის მცოდნე პირი, კანონთა დებულება და განსაკუთრებული პირობები სამართლის ასრულებისათვის.**

სამართლის და კანონის დებულებაზე უკვე რამოდენიმე სიტყვა გვაქვს ნათქვამი. დაგვრჩა განხილვა სამართლის აღმსრულებელ პირისა და იმ პირობებისა, რომლებშიაც იმყოფება ჩვენში სამართლის ასრულება.

რა მოითხოვება სამართლის კარგა ასრულებისათვის? სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ალაგას ეს მოთხოვნილება სხვადასხვა ნაირად ჰქონდათ წარმოდგენილი. იყო დრო, როცა კაცს ეგონა, რომ სამართალი ღმერთისა—უზენაესი ძალის—და არა კაცის საქმეა. იყო ისეთი დროც, როცა ადამიანის ჭკუა დარწმუნებული იყო, რომ სამართლის წარმოებისათვის საკმარისია, თუ კაცმა ერთგვარი აღნიშნული ტანისამოსი ჩაიცვა და, თუ ამ ტანისამოსში ჩაცმულს არა, სხვას არ შეუძლიან სამართლის წარმოებაო.

ერთხანს ეგონათ, რომ სამართლის საუკეთესო წარმოება შესაძლებელია მხოლოდ აკლდამისებურ სარდაფებში და ციხისებურ უზარმაზარ შენობებში, ხოლო ამაზე წინად კაცის ჭკუას საუკეთესო სამართლის საწარმოებელ ბინად მიაჩნდა დაუხურავი ალაგები: მოედნები, გორაკები, დიდ ხის ქვეშ ადგილები და სხვა...

თვით სამართალი ერთ დროს მალულად ხდებოდა, სხვა დროს საჯაროდ, ერობის წინაშე,

ბევრგვარი ცვლილება, როგორც გარეგნობით, ისე შინაარსით, გამოიარა ქვეყანაზე სამართლის მოწყობამ და წარმოებამ. ყველა ეს ცვლილება გამოწვეული და დამოკიდებული იყო კაცის აზრის და ცოდნის წინსვლასთან და განვითარებასთან: **კაცის დაკვირვებამ და დაფასებამ თანდათან მიახწია სამართლის მოწყობის უმთავრეს მოთხოვნილებათა აღნიშვნას და შეუდგა ამ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შესაფერი საშუალებების აღმოჩენას.**

დაარსდა მთელი სწავლა, ანუ მეცნიერება, რომელსაც საგნად აქვს იმ საშუალებათა განხილვა, რომელთა შემწეობით შეუძლიან სამართალს უკეთესად აასრულოს თავის დანიშნულება, აწარმოოს სამართალი.

ამ მეცნიერების შემწეობით დღეს უკვე აღნიშნულია ის საშუალებანი, რომელნიც უწყობენ ხელს სამარათლს აასრულოს თავისი დანიშნულება, ხოლო, რასაკვირველია, ამით მეცნიერება არ კმარობს და ცდილობს ისეთ კალაპოტში ჩააყენოს მომავალში სამართლის საქმე, რომ არაფერი ნაკლი არ ჰქონდეს.

ამგვარად, გვაქვს-რა მეცნიერებისაგან აღნიშნული საშუალებანი სამართლის მოწყობისა, ჩვენც ყველა იმის განხილვა- და დაფასებაში, რითაც ხასიათდება აქა თუ იქ სამართლის მოწყობა, კრიტერიუმად ეს მეცნიერებისაგან აღნიშნული საშუალებანი უნდა გვქონდეს. მის შედარებით ჩვენ ადვილად შევიტყობთ, როგორ არის მოწყობილი სამართლის საქმე და რამდენად შეუძლიან აქ სამართალს თავის დანიშნულების ასრულება.

აღვნიშნოთ უმთავრესი მოთხოვნილებანი, მეცნიერებისაგან და კაცის ცოდნისაგან გამორკვეული.

**სამართალი ყველასათვის ერთი და ერთგვარი უნდა იყოს. იგი უნდა წარმოებდეს და ხდებოდეს საჯაროდ და ყველასთვის ცხადად.**

**სამართლის წარმოება და აღსრულება უნდა ხდებოდეს ჩქარა.**

**სამართლის საქმე არ უნდა იყოს გაძნელებული და თვით სამართალი უნდა იყოს ადვილად გასაგები და ადვილად მისამართი.**

**სამართალი დამოუკიდებელი უნდა იყოს და სამართლის წარმოებაში მთავრობა არ უნდა ერეოდეს.**

**სამართალი უნდა შეუსყიდველი და მუქთი იყოს ყველასათვის, მიუდგომელი და სვინიდისიერი.**

**სამართალი უნდა შეკავშირებული იყოს საზოგადოების ინტერესთან, საზოგადოების შეხედულობასთან და ზნე-ჩვეულებებთან.**

**სამართალი თავის წარმოებაში უნდა შეიარაღებული იყოს ყველა იმ ცოდნით და საშუალებებით, რომელიც კი აქვს კაცს ჭეშმარიტების და სიმართლის გასაგებად...**

თითქმის არც ერთს ერს და ქვეყანას არა აქვს სავსებით ეს მოთხოვნილებანი დაცული სამართალში. ხოლო ზოგან უმეტესი ნაწილი მათი და ზოგან თითქმის არც ერთი აღნიშნული მოთხოვნილებანი არ არის დაცული და მით თვით სამართალიც ძალიან დამახინჯებულია.

რუსეთში, მაგალითად, ერთი სამართლის მაგიერად ბევრი სამართალია: არის სამხედრო, სასულიერო, სასოფლო და საგლეხკაცო, საკომერციო და სამოქალაქო სამართალი. ყველა ეს სამართალი თავის კერძო სამართლის კვალს და წესწყობილებას ადგია. ეს მეტად აფერხებს სამართლის საქმეს და უშლის სამართლიანობას. **კანონის წინაშე ყველანი ერთნი უნდა იყვნენ და მთელს სახელმწიფოში ყველასათვის ერთი და იგივე კანონი უნდა არსებობდეს.**

სამართლის მფარველი ღმერთი საბერძნეთში თვალ-ახვეულად იყო წარმოდგენილი და ეს იმას ნიშნავდა, რომ მსაჯულის და კანონის წინაშე არ უნდა გაირჩეოდეს მდიდარი და ღარიბი, სასულიერო, სამხედრო და ერის კაცი. ყველანი კანონის წინაშე ერთი და იგივე ვალდებულობის და უფლების მქონენი უნდა იყვნენ.

რუსეთში უკვე შეუდგა მთავრობა ცოტად თუ ბევრად ამ მოთხოვნილების განხორციელებას სამართალში. არის ტენდენცია ყველა კერძო სამართლის გაუქმებისა და ყველასათვის ერთი სამართლის დამყარებისა. ამ მხრივ უკანასკნელი სამართლის რეფორმა რუსეთში საყურადღებოა **გლეხთა და სხვა ერისკაცთა კანონის წინაშე გათანაბრებით.** განსაკუთრებულ სასოფლო და საგლეხო სამართლის მაგიერად არსდება ყველასათვის ერთნაირი სამართალი და ერთი და იგივე პასუხისგება კანონის წინაშე.

როგორც სჩანს, ჩვენ მხარეში ეს რეფორმა ჯერ-ჯერობით არ უნდა შემოიღონ. საზოგადოდ უკანასკნელი რეფორმა ჩვენში არ განხორციელდება. ჩვენი მხარისათვის აზრად აქვთ სხვა რაღაც ცვლილებანი, რაც სასამართლოში მსახურთ უფრო შეეხება, ვიდრე სამართლის წარმოების საქმეს.

ჩვენ თავის დროს ამ პროექტს დაწვრილებით გავარჩევთ. ეხლა მხოლოდ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ არამც თუ ეს უკანასკნელი რეფორმა, არამედ დიდი ხნის რეფორმაც რუსეთის სამართლისა ჩვენში სავსებით არ არის შემოღებული და სამართალი მოკლებულია ბევრს კარგს საშუალებას სამართლის წარმოებაში, რომელიც რუსეთში, აგერ ნახევარი საუკუნეა, რაც მოქმედობს.

ამ საშუალებათა შორის ყველაზე უფრო შესანიშნავია **ნაფიც მსაჯულთა უქონლობა ჩვენ სამართალში.** ეს ნაკლულევანება უშლის სამართალს შეკავშირებული იყოს საზოგადოების შეხედულებასთან და ჩვენ ზნე-ჩვეულებასთან.

რაში მდგომარეობს ნაფიც-მსაჯულთა ინსტიტუტი, ანუ დაწესებულება და რა მნიშვნელობა აქვს მას სამართლის წარმოებაში?

როგორც ზევითა ვსთქვით, სამართლის წარმოებისათვის საჭიროა მცოდნე პირი, ანუ მსაჯული. ეს მსაჯული თავის გადაწყვეტილების განაჩენს ამყარებს ხოლმე კანონზე, კანონის ბრძანებაზე. ხოლო კანონები, კანონმდებლობა, ის, რასაც კოდექს უძახიან, შემუშავდება ხოლმე და შეიძენს მთელ სახელმწიფოში მცხოვრებთათვის ვალდებულობის ძალას პერიოდულად, კაი ხანგამოშვებით; ორმოც და ზოგჯერ უფრო მეტ წლის გასვლის შემდეგ გამოიცემა ხოლმე განათლებული კანონმდებლობა. საზოგადოდ კანონთა დებულების, კოდექსის ახალი შემუშავება მეტად ძნელი საქმეა. ცალკე რომელიმე ერთ კანონის შეცვლაც კი ისე ადვილი არ არის და კაი დროს მოითხოვს. საზოგადოების შეხედულობა და აზრი მუდამ მოქმედებაში და წინსვლაშია. შეხედულობა კაცისა ამა თუ იმ მოქმედებაზე ზოგჯერ საზოგადოებაში ისე ჩქარა იცვლება, რომ კანონი, ვერ მოასწრობს გამოქვეყნებას, რომ უკვე აღარვარგა—დაძველებულია. ამიტომ კანონმდებელი ვერ ასწრობს ისე ჩქარა კანონის შესწორებას ან გამოცვლას და, როგორც იტყვიან ხოლმე, **კანონი ყოველთვას ჩამორჩენილია ცხოვრებას** და საზოგადოების აზრს და არ ეთანხმება საზოგადოების შეხედულობას.

ამის გარდა, თვით ის მოქმედება კაცისა, რომელიც ჰბრალდება კაცს და რომლისთვისაც უნდა გაისამართლოს იგი, ბევრჯელ მარტო მიაგავს იმ მოქმედებას, რომელიც სახეში აქვს კანონს და სავსებით ის მოქმედება არ არის. ბევრჯელ კაცის მოქმედება გამოწვეულია ცხოვრების რომელიმე ახალ მოვლენისაგან, ეს მოქმედება ხდება ხოლმე კანონისათვის უცხო და ახალ ნიადაგზე და კავშირი აქვს რაიმე განსაკუთრებულ ცხოვრების პირობებთან.

# შტაბის დეპეშები

**...ვკასიის ფრონტი.** ზღვის სანაპი...ში ხოფის სამხრეთ-დასავლეთში ...ტუმის ტბასთან მოწინავე რაზმთა ...რცხლი შეჯახებაა. არჯიშთან ქუ...ბთან შეჯახება მოხდა. დანარჩენ ...ნტზე მდგომარეობა უცვლელია,

**...ტროგრადი, 8 ოქტომ.** დასავლე... ფრონტი. რიგის რაიონში ... ფრონტზე საარტილერიო ცეცხლი ...ნვარებს. გერმანელთა ლაშქრობა ...ოლის აღმოსავლეთით, მიტავის ...გზაზედ მოგერებულ იქმნა. ოლის ...სავლეთ ფრონტზე შეუწყვეტელი ...ტილერიო სროლაა. მიტავის მიდა...ში რუსის „ილია მურომეცებმა" ...ენიმე ათეული ყუმბარა ჩამოაგ... ცნობებია, რომ ამით გერმანე...ს დიდი ზარალი მიაყენესო. ოლის ...ნში ჩამოაგდეს გერმანელი მფრი... იგი დაიმსხვრა. ოლის აღმოსავ...თით გერმანელები სცდილობდნენ ...ის ფარდას ამოჭფარებოდნენ და ... გამოელაშქრათ, მაგრამ მათმა ცდილობამ ამაოდ ჩაიარა. ფრიდრიხშტადტისა, იაკობშტადტისა და დვინსკის ფრონტზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა. დაბა პოსტავის ჩრდილოეთით, სასტიკი ბრძოლის შემდეგ, რუსებმა თხრილებიდან ამოჰრეკეს გერმანელები. 270 კაცი წამოიყვანეს ტყვედ ერთი ოფიცერითურთ. ბარანოვიჩის სამხრეთ-აღმოსავლეთით გერმანელ-ავსტრიელთა პოზიციების აღების დროს გამოირკვა, რომ აქ მათ მოშხამულ გაზების გამოშვება უნდოდათ ბურუსიდან, მაგრამ ვერ მოასწრეს და რუსებმა ჩაიგდეს ხელში. პრიპიატის სამხრეთით რუსებმა აიღეს სოფლები სტირის მარცხენა ნაპირზე. სოფ. კომაროვის აღების დროს ხელთ ჩაუვარდათ 400 ჯარისკაცი და ორი ტყვიისმფრქვეველი. გერმანელთა კონტრიერიში კოლკის რაიონში მოგერებულ იქმნა. საზოგადოდ სასტიკი ბრძოლაა. ამ ბოლო დროს ავსტრო-გერმანელები დუმ-დუმს ხმარობენ.

## ...ზოგადოებანი და კრებები

**...რთული საქველმოქმედო საზოგადოება.**

... ოქტომბერს სხდომა ჰქონდა საზო...ოების გამგეობას. განხილულ იქმნა ...ილი მ. ი. სულუხიასი, რომელიც ...ეთ-აზიის ბანკის განყოფილების გა... ქალ. გროზნაში. ბ-ნი სულუხია ...გეობას ატყობინებს სიმინდის ფასებს ...ზნაში. როგორც ის იწერება, ფუთი ...ნდი ჰფასობს ადგილობრივ 48—54 ... უფრო ხელსაყრელია ყიდვა არა ...ფეს 51 კაპ., რადგან ამ ფასიდან ...ნდი, როგორც ყვითელი ისე თეთრი, ...გის ღირსების არის, ხოლო უფრო ... ფასიან სიმინდს მომეტებულ ნაწი... შინაური პირუტყვის საკვებად ხმა...ბენ და ხალხის საკვებად ნაკლებად ...ოადგება. რკინის გზის ფრახტი ფუ... გროზნიდან ბათუმამდე (უკანასკნე... პუნქტი) ღირს 27 კაპ., და 2 კაპ. ...ზე ზედმეტი უნდა ვიანგარიშოთ, ...ნაში დანაკლისის ასანაზღაურებლად ...სხვა წვრიმალ ხარჯის დასაფარავად. ... რომ საუკეთესო ხარისხის სიმინდი ... იქნება ნასყიდი, რომელიც 54 კაპ. ...ობს, ერთი ფუთი სიმინდი ბათომში ...დება 83 კაპ. ბ-ნი სულუხია ჰპირ...ბა საზოგადოებას, რომ ჩემი შრომის ფასს სრულებით არაფერს არ ვიანგარიშებ და თუ შემომიკვეთებთ, რამდენიც საჭირო იქნება, იმდენ სიმინდს მოგაწოდებთ ზედდადებული ფასითო. გამგეობამ ფრიად ხელსაყრელად სცნო მ. ი. სულუხიას წინადადება და დაადგინა აცნობოს იგი ქუთაისისა და ბათომის თავისს განყოფილებებს და მაზრათა კოოპერატივების ბიუროებს და წინადადება მისცეს მათ, ისარგებლონ ამ საუკეთესო შემთხვევით.

შემდეგ გამგეობამ მსჯელობა იქონია კონტრაგენტების შესახებ და გაითვალისწინა რა ის გარემოება, რომ სამაზრო ბიუროები ყველგან ვერ ახერხებენ თავიანთი საკუთარი ძალღონით ხალხისათვის სათესლისა და საკვები მასალის მიწოდებას, ხოლო ასეთი ბიუროები ბევრგან სრულებით არ არსებობენ, დაადგინა: 1) გამონახულ იქმნა კონტრაგენტები, რომელთაც საზოგადოებამ უშოვოს ვაგონები, მაგრამ იმ პირობით, რომ მოზიდული საკვები იმაზე ძვირად არ გაჰყიდონ, როგორც კოოპერატივთა კავშირები ჰყიდიან, ხოლო იმ ადგილებში, საცა ასეთი კავშირები არ არსებობს, ფუთ ფქვილზე მოიგონ არა უმეტეს 10 კაპ., ხორბალზე 8 კაპ., და სიმინდზე 6 კ.

---

...კაცის მაგვარი საქციელის დაფასები...თვის მარტო კანონის ცოდნა საკმარი... არ არის. მსაჯული, რომელიც ვალ...ბულია კანონს არ აუხვიოს, რომელ...ც არა აქვს ნება თავის განაჩენი და...ყაროს საზოგადოების შეხედულებაზე, ...მელმაც კანონის ბძანება აუცილებ...ად უნდა აასრულოს ძალიანაც რომ ...ოს დარწმუნებული, რომ თვით კანო... დაძველდა და აღარ ეთანხმება საზო...დოების შეხედულობას,—ამგვარი მსა...ული ვერ შესძლებს ჭეშმარიტის და ...თლის სამართლის ასრულებას. სა...თალში **ამ ნაკლულევანების გასა...ღრებლად და შესავსებლად საჭიროა ... საზოგადოებისა, საჭიროა საზოგა... აზრის და შეხედულობის გამოთქმა. ...ორედ ამ საქმის ამასრულებელნი ...იან ნაფიცი მსაჯულნი.**

...ადგილობრივ მცხოვრებთა შორის აი...ევენ ხოლმე ყოველ თითო საქმისათ... საქმის გარჩევის დაწყების დროს ...ორმეტს კაცს. ამ თორმეტმა კაცმა ...და შეისმინოს საქმის ვითარება და ...რემოება და ბოლოს გადაწყვიტონ ...ლმე, დამნაშავეა ბრალდებული, თუ ... მათი გადაწყვეტილება მსაჯულთა...ვის კანონია და მსაჯულებმა თავის გა...ჩენი ამ გადაწყვეტილებაზე უნდა და...ყარონ, დანაშაულად ცნობილს დას...ან, ხოლო დანაშაულად არ ცნობილს ...რთლებენ.

**...ნაფიცთა მსაჯულების მონაწილეო...** სამართლის წარმოებაში დიდმნიშვნე...ოვანია აგრეთვე იმით, რომ შეუძლე...ლად **ხდის მსაჯულების ყოველგვარ ...საძლებელ უკულმართობას და სამა...თლის ღალატს.**

...უმთავრესს კითხვის გასამართლების ...ოს, იმას, დამნაშავეა თუ არა ბრალ...ებული, სწყვეტენ ნაფიცნი მსაჯულნი, ... პირნი, ვინც მსაჯულებად ხდებიან ...ოლოდ საქმის გარჩევის დროს და ვინც ... იციან, ვიდრე არ აარჩევენ იმათგან ...2-ს კაცს, ვინ იქნება არჩეული. ამგვარად ამ ნაფიც მსაჯულთა შესყიდვა ან მათზე სხვაფრივ გავლენა შეუძლებელია და ამიტომაც მათი გადაწყვეტილება მიუდგომელია და ყოველ ეჭვს გარეშეა. ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს სამართლის წარმოების დროს. მართალია რუსეთში ეს მსაჯულები იღებენ მონაწილეობას მარტო კაცის დანაშაულობის გარჩევის დროს და ისიც ყოველ დანაშაულობის გარჩევის დროს არც კი. სამოქალაქო საქმეების გარჩევის დროს რუსეთში არ არის შემოღებული ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა. მაგრამ ეს მარტო რუსეთში კი არა, სხვა სახელმწიფოებშიაც, ინგლისის გარდა, ესეა.

**აღნიშნულ ინსტიტუტის უქონლობა ჩვენს სამართალში უფრო მეტად საგრძნობელია, ვიდრე თვით რუსეთში იქნებოდა.** როგორც წინა წერილში ნათქვამი იყო, ჩვენში სამართალს განაგებენ უცხო პირნი, შორიდან ჩამოსულნი, ჩვენი ზნე-ჩვეულების უცოდინარნი. ამგვარ მსაჯულებს არ ესმით ჩვენი ცხოვრების განსაკუთრებული პირობები, ბევრგვარი ეტნოგრაფიული მოვლენანი და ჩვეულებანი და სხვა ამგვარი.

აი, სწორედ, ამ მდგომარეობაში სამართალს ესაჭიროება ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობა, ეს საზოგადოების და ერის ხმა, ნამდვილად და სამართლიანად დამფასებელი კაცის დანაშაულობისა.

**გ. გძელიშვილი**

---

# ახალი ამბავი

**ვაჟთა პირველ გიმნაზიის** მშობელთა წრემ, სამოსწავლო წლის დაწყების გამო, მოქმედება განაახლა და მომავალ მოქმედების გეგმის შემუშავებას შეუდგა. ჯერ-ჯერობით ორი კრება ჰქონდა წრეს.

**საქართველოს კათოლიკოსთა სენაკის განახლება.** საქართველოს ეგზარხოსს, მაღალ ყოვლად უსამღვდელოესს პიტირიმს, განუზრახავს განახლება მცხეთის ტაძართან არსებულ საქართველოს კათოლიკოსთა სენაკისა, ამ საქმისათვის სასულიერო მთავრობამ გადასდო 600 მ. და მუშაობას შეუდგა. ეს თანხა საკმარისი არ იყო განზრახული საქმის დასამთავრებლად, ამიტომაც გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ წერილობით დახმარება სთხოვა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულოს.

**ქართული წარმოდგენა.** დღეს საღამოს სახალხო სახლში წარმოდგენას მართავს წარმოდგენების მმართველი წრე. წარმოდგენილი იქნება, კ. შათირიშვილის რეჟისორობით, ტრ. რამიშვილის ორიგინალი პიესა „მეზობლები".

**ქალაქის დავალიანება.** იმ გარემოებამ, რომ თბილისი მუდამ წელს ახალ ვალებს იღებს, საბჭო დიდს საგონებელში ჩააგდო. წარსულ 1916 წელს, ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, საბჭომ, ხმ. ბეზობრაზოვის თავმჯდომარეობით, საგანგებო კომისია აირჩია, რომელსაც დაავალა ქალაქის მთელი ვალების ცნობაში მოყვანა და ღონისძიებათა გამონახვა მოსალოდნელ ფინანსიურ კრიზისის თავიდან ასაშორებლად. კომისიამ, რამდენიმე სხდომის შემდეგ, თავისი მუშაობა სავსებით შესწყვიტა. ამის მიზეზი იყო ბ-ნ ბეზობრაზოვის თბილისიდან გასვლა. ამ დღეებში ქალაქის გამგეობა აპირობს მოიწვიოს ხსენებული კომისია და მოაგონოს, რომ საჭიროა მუშაობის გაგრძელება. საქმის მდგომარეობა ისეთია, რომ საბჭოს დიდი იმედი აქვს ხსენებულ კომისიის მუშაობისა. კომისიამ თავისი დასკვნანი უნდა წარუდგინოს ქალაქის საბჭოს არა უგვიანეს მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვისა.

**კომისიის მუშაობა.** თბილისის გუბერნიის ღარიბ მოსწავლეთა დამხმარე საზოგადოების წლიურ კრებაზე არჩეული კომისია შეუდგა მუშაობას. კომისიას, როგორც ვიცით, დავალებული აქვს გამოარკვიოს თავად-აზნაურთა ქართულ გიმნაზიის ავ-კარგიანობა და აგრეთვე ზოგიერთ ყოფილ მოსამსახურეთა მოქმედება, რამაც ზიანი მიაყენა ქართულ გიმნაზიას.

**კომისიის მოხსენება.** ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების თხოვნით, ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოების საბჭომ საგანგებო კომისიას დაავალა ილია ჭავჭავაძისეულ მამულის საფუძვლიანად შესწავლა საგურამოში. კომისიამ ადგილობრივ დაათვალიერა ხსენებული მამული და საკმაოდ გამოარკვა, რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან მას პატრონისათვის განსაზღვრულ პირობებში, ე. ი. თუ რიგიანად იქნება იგი მოვლილი. მოხსენებას ამის შესახებ ამ დღეებში წარუდგენს საზოგადოების საბჭოს კომისიის წევრი ს. ყაზახაშვილი.

**შეშის საჭიროება.** თბილისის ქალაქის გამგეობამ ცნობა მიიღო ერევნიდან რომ იქ უკვე დაზამთრებულა, სიცივე საგრძნობელია, მაგრამ ქალაქში შეშა სრულებით არ მოიპოვება დ ხალხი დიდს გასაჭირშია. ამის გამო ერევნის ქალაქის გამგეობა დახმარებას სთხოვს თბილისის გამგეობას.

**ხოლერა.** 8 ოქტომბერს ქალაქის ლაზარეთში მიიყვანეს ხოლერიანი 1 და ხოლერის ნიშნებით 1 კაცი. გარდაიცვალა ხოლერიანი 1 კაცი. გუშინ, 9 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდნენ ხოლერიანი 92 და ხოლერის ნიშნებით 6 კაცი.

**გადამდები სენი.** გუშინ, 9 ოქტომბერს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 77, სახადიანი 56, საოფლიანი 42, ხუნაგიანი 17, მუცელაიანი 3 და ყვავილიანი 2 კაცი.

**ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო ექვთ. თაყაიშვილის ახალი წიგნი „Археологическія екскурсіи".

**სურსათი.** თბილისში მოტანილია: ფქვილი 7 ვაგ., ხორბალი 5 ვაგ., შაქარი 6 ვაგ., კარტოფილი 4 ვ., ხილი 3 ვაგ., შეშა 4 ვ., მაკარონი 1 ვ., ნავთი 1 ვ., კარტოფილის ფქვილი 225 ფუთი, ჩაი 101 ფუთი,

### შეცდომის გასწორება

გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, ვითომც ბ-ნ შადინოვის ერბო-ყველის მაღაზიაში, პუშკინის ქუჩაზე, პოლიციას აღმოეჩინოს 150 მანეთის ხურდა ფული. ეს ცნობა, რომელიც გადმოგვცა ჩვენ სამწერლო ბიუროში, ქალაქის გამგეობაში, გაზ. „გოლოს კავკაზა"-ს თანამშრომელმა, ჩვენს მიერ შეკრებილი ცნობებით, ტყუილი აღმოჩნდა.

# მეფის მოადგილე ქ. ქუთაისში ერთი საათით.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

7 ოქტომბერს დღის 2 საათზე ქუთაისს ესტუმრა ძვირფასი სტუმარი მეფის მოადგილე ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე.

ქუთაისი მეფის მოადგილის მოლოდინში სამზადისს წინა დღითვე შეუდგა. ქუჩები და ეზოები დაგავეს. სახლები ბაირაღებითა, ხალიჩებითა და ცოცხალი ყვავილებით მორთეს. ყველა სადღესასწაულო ტანისამოსში ეწყობოდა, რომ ღირსეულ სტუმარს ღირსეულად შეხვედროდენ...

7 ოქტომბერს დილითვე ქუთაისი გარეგნობით სიმდიდრეში იჯდა. განსაკუთრებით საუცხოვოდ იყო მორთული ვოგზლის ქუჩა, თბილისის, პუშკინის, ალექსანდრეს, გიმნაზიის, ქარვასლის, ორპირის და ჭავჭავაძის ქუჩა, რომელზედაც უნდა გაევლო მეფის მოადგილეს და მის ამალას.

დილითვე ქუჩებში გამოიყვანეს ჯარისკაცები და მოწაფეები და ქუჩების ორთავე კიდეებზე რიგზე ჩაამწკრივეს. ხალხი ბუზივით ირეოდა.

ქარი, რომელიც რამდენიმე დღეს შეუწყვეტლად ბერავდა, თითქოს განგებ ჩადგა.

შეიქნა 12 საათი. ყველა დაწესებულებებში მუშაობა შესწყვიტეს, სავაჭროები დაჰკეტეს და ყველა ქუჩაში გამოვიდა, ყველა რაღაცას მოელოდა... ქუჩის ნაპირა სახლების აივნები ხალხით გაივსო, ბევრი სახლის თავებზედაც შესულიყვნენ.

1 საათზე სადგურისაკენ გაეშურა თავად-აზნაურობისა და სხვა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. მათ შორის ადგილობრივი და თბილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნიც. სადგურის მიდამოებში ტევა არ იყო. სადგურის კარებთან ყარაულებად იდგენ ქალაქის კამენდატი და სხვა სამხედრო პირები.

სადგურიც საუცხოვოდ იყო მორთული ძვირფასი ხალიჩებით. 2 საათზე საგანგებო მატარებლის კივილი გაისმა და მეფის მოადგილემაც მოაღწია. მას სადგურის აივანში დახვდა ქალაქის მოურავი მთელი დეპუტაციით. მისალმებისთანავე ქალაქის მოურავმა ი. მ. ჩიქოვანმა მიმართა გრძნობიერი სიტყვით. სიტყვის გათავების შემდეგ მეფის მოადგილე, ქუთაისის გუბერნატორი, ვიცე გუბერნატორი, თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი დ. ო. ნიჟარაძე და სხვა დეპუტაცია ეტლებით საკათედრო ტაძრისაკენ გაემართენ. გზა-გზა მეფის მოადგილე ჯარისკაცებსა და მოწაფეებს სალამს აძლევდა. მეფის მოადგილის ყურადღება მიიპყრო თბილისის ქუჩაზე რეალური სასწავლებლის გასწვრივ ბოძებმა, რომელზედაც გაკრულ ლენტზე ცალ გვერდზე ეწერა „გისურვებთ სიკეთეს" მეორე გვერდზე კი „გზა მშვიდობისა".

საკათედრო ტაძარში მხოლოდ მეფის მოადგილე შემობრძანდა, ამალა და დეპუტაცია გარედ იცდიდა. ტაძარში იყო ორმოცამდე კაცი ბილეთებით. და მას კარებში დახვდა იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი მთელი სამღვდელოებით. მისალმებისათანავე ყოვლად სამღვდელო გიორგიმ მის უმაღლესობას უთხრა სიტყვა. აღნიშნა მისი გმირული მოქმედება დასავლეთ ასპარეზზე და დასძინა: „ქართველი ერი იმედოვნებს რომ თქვენის მოღვაწეობით იგი დაიბრუნებს იმ ნაწილებს თავის ტერიტორიისას სადაც წარმოიშვა დიდი მოწამე გიორგი და წმ. ნინო ქართველთ განმანათლებელიო" და სხვ...

სიტყვის შემდეგ გადაიხადეს შესავედრებელი ლოცვა. საკრ. ტაძრის მგალობელთა გუნდმა რამდენჯერმე შეასრულა ქართულ-რუსული „მრავალ-ჟამიერი" რომელიც დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ სასოებით მოისმინა.

ლოცვის გათავების შემდეგ ყ-დ სამღვდელო გიორგიმ მეფის მოადგილეს ლოცვა-კურთხევით მიართვა დავით და კონსტანტინეს ძვირფასი ხატი მოკლე განმარტებით წამებული წმინდანებისა.

— სად ასვენია ეს მოწამეები?—დაეკითხა დიდი მთავარი.

— მოწამეთის მონასტერში, თქვენო უმაღლესობავ, რომელიც იმყოფება ქუთაისიდან ოთხი ვერსის მანძილზე.—მიუგო ყ-დ სამღვდელო გიორგიმ.

— როდესაც მეორედ ჩამოვალ ქუთაისში, ბედნიერი გავხდები ამ წმიდა მონასტრის ხილვით.—დასძინა დიდმა მთავარმა და ეპისკოპოსს გამოეთხოვა.

დიდი მთავარი საკათედრო ტაძრიდან ამალითა და დეპუტაციით ქართული გიმნაზიისაკენ გაეშურა. გზაზე ხალხი „ვაშას" ძახილით ეგებებოდა...

ქართულ გიმნაზიაში მეფის მოადგილეს დახვდა გიმნაზიის გამგე იოსებ ივანეს ძე ოცხელი და რამდენიმე წარმომადგენელი თავად-აზნაურობისა. გიმნაზიის შენობაცა და ეზოც მხატვრულად იყო მორთული. ჭისკართან გაკრული იყო ლენტი, რაზედაც ეწერა „სიკეთეს გისურვებთ" დარბაზი გიმნაზიისა საუცხოვო ხალიჩებითა და ყვავილებით იყო შემკობილი. კედელზე ეკიდა მისი იმპერატორობის დიდი სურათი ათასგვარ ყვავილებში ჩასმული.

გიმნაზიის ასეთმა მორთულობამ დიდი მთავრის ყურადღება მიიქცია. გიმნაზიის გამგეს ი. ი. ოცხელს დიდი მადლობა გამოუცხადა. დაჰკითხა მას, თუ რამდენი მოწაფე სწავლობს მის გიმნაზიაში და სხ. გიმნაზიაში მეფის მოადგილე სულ რამდენიმე წუთს დარჩა. განსაკუთრებულ წიგნში წასვლის დროს ჩასწერა:

— გენერალ-ადიუტანტი—ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე. 1915 წლის 7 ოქტომბერი.

მეფის მოადგილემ კეთილ-ინება და ქუთაისის ყველა სასწავლებლების მოსწავლეებს 8 და 9 ოქტმბერს თავისუფლება მიანიჭა.

გიმნაზიიდან დიდი მთავარი ისევ სადგურისაკენ გაემართა. გზაში გაისმოდა „ვაშა"-ს ძახილი. 3 საათზე მისი უმაღლესობა სადგურზე დეპუტაციას გამოეთხოვა და მატარებელში ჩაბრძანდა. ხაშურის სადგურამდის იგი ქუთ. გუბერნატორმა და თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თავ. დ. ო. ნიჟარაძემ მიაცილა.

**ნიკო ახათიანი.**

# ვეფხის ტყაოსნის თავებად დაყოფის საკითხი

ვეფხის ტყაოსნის დაახლოვებით შესწავლამ დამარწმუნა, რომ პოემის თავებად დაყოფა უნდა ეკუთვნოდეს შემდეგ საუკუნეებსა. ამისი საბუთია თავების სათაურების ენა და ის გარემოებაც, რომ თავებად დაყოფა ზოგჯერ არ ეთანხმება შინაარსსა. მაგალითად:

1, 794 მუხლი XXII თავისა (იხ. წერაკითხვის საზოგადოების გამოცემული № 63) უნდა იყვეს დასაწყისი XXIII თავისა, რადგანაც იმ მუხლით იწყება, როგორც თვით შოთა რუსთველი აბობს სხვა ამბავი, მისი თუ, რა მოჰხდა როსტევან მეფისას, როცა გაიპარა ავთანდილ ლოცვის შემდეგ;

2, 894 და 895 მუხლები XXV თავისა უნდა იყვეს დასასრული XXIV თავისა, რადგანაც მოგვითხრობს იმას თუ, ავთანდილს მეორედ გაპარვის შემდეგ როგორ შეჰხვდა ტარიელ და უამბო თავისი ჭირი, რაც სჭირდა, აგრეთვე ლომვეფხის მოკვლის ამბავიცა. XXV თავი კი მოგვითხრობს ორთავ ჭაბუკთა ქვაბს მისვლის და ასმათის ამბავსა.

3, 1090—1092 მუხლები XXXIII თავისა უნდა ეკუთვნოდეს XXXIV თავსა, რადგანაც გვიამბობს იმას თუ, ავთანდილმა წინამძღომელი მონის თანხლებით როგორ განვლო ქალაქი და იპოვა სრა ჩაჩნაგირისა, რომელსაც წინ მწოლი დარაჯები დაუხოცა. XXXIII თავი კი მოგვითხრობს ფატმანისა და ავთანდილის ლაღობის ამბავსა. ცხადია, დარაჯების დახოცვა არსებითი ნაწილია იმ ამბისა თუ, ხელ სისხლიანი ავთანდილ მას შემდეგ როგორ შევიდა, სადაც იყო საწოლი ჩაჩნაგირისა, რომელიც კიდეც დაჰკლა დანითა.

4, 1290—1293 მუხლები XXXIX თავისა უნდა ეკუთვნოდეს XL თავსა, რადგანაც შეიცავს ამბავს იმისას თუ, ფატმანს როგორ დაჰშორდა ავთანდილ ფრიდონის მონებ თანახლებული და როგორ გაუგზავნა ფრიდონს იმ მონების ხელით ნადავლი და წიგნი. XXXIX თავი კი გვიამბობს იმ წიგნის შინაარსსა, ნესტან დარეჯანმა ქაჯეთით რო მოსწერა ტარიელს და გამოატანა ფატმანის გრძნეულ მონასა, ხოლო ფატმანმა რა ჩამოართვა მონას, გადასცა ავთანდილს ჩასაბარებლად ტარიელისთვის.

5, 1366—1368 მუხლები XLII თავისა უნდა ეკუთვნოდეს XLIII თავსა, რადგანაც იმით იწყება ახალი ამბავი ფრიდონისა, ავთანდილისა და ტარიელის

ქაჯეთს წასვლისა მისი ციხის ასაღებად. XLII თავი კი მოგვითხრობს იმას თუ, ფრიდონმა როგორ უმასპინძლა მასთან მისულ ავთანდილს და ტარიელსა.

6, 729—730 მუხლები XIX თავისა უნდა მოექცეს იმავ თავის 752 და 753 მუხლებ შორის, ხოლო 746 მუხლი—753 და 754 მუხლებ შორის, როგორც უფრო შესაფერი აზრის განვითარებისთვის.

**პეტრე მირიანიშვილი.**

## პროვინციის ქრონიკა

**სოფ. ზეკამი.** (გორის მაზრა).

სოფელში დაიარებიან პოლიციის მოხელენი და გაჭირებულ გლეხს აწერინებენ ოროლ ჩანახ პურს ომის საჭიროებისთვის

— ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ნებართვა, რომელსაც ეს მეოთხე თვეა სოფელი მოუთმენლად მოელის, დღემდის არ მოსულა. რად შეაგვიანა აგრე რიგად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ—საინტერესოა.

— სოფლის დასი ზამთრისთვის შეკეთებულ საკუთარ სათეატრო შენობაში მოკლე ხანში სდგამს წარმოდგენას. „არსენას“.

**ისევ უმაღლესი პირველ დაწყებითი სკოლა.**

ამ ახალი ტიპის სკოლას დიდის აღფრთოვანებით მიეგება ჩვენი სოფლები, დღე არ გავა ისე, რომ არ გავიგოთ ამა და ამ სოფელმა დაადგინა დაიარსონ პირველ დაწყებითი უმაღლესი სკოლა. სოფელ აბედათში (სამეგრელო) საშინელ გაჭირვებაში მყოფ ხალხს დაუდგენია ზემოდ მოყვანილ ტიპის სკოლის გახსნა, რისთვისაც ნებართვა უკვე მიუღია, ხალხმა სკოლის ადგილისთვის 10 ქცევა მიწა შესწირა. არც სხვა ხარჯებს ერიდება. ნეტავ ხსენებულმა სკოლებმა ჩვენს ხალხს სასურველი ნაყოფი მოუტანოს.

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ჩამოვიდა მგოსანი ბალმონტი, ხალხი აღფრთოვანებით მიეგება.

**ქ. გ ო რ ი.**

ჩვენ სოფელ-დაბებში თან და თან იგნებენ კოოპერაციის მნიშვნელობა-საჭიროებას. 4 ოქტომბერს აქ მოხდა ინტელიგენტთა ყრილობა. გადასწყდა გაიხსნას გორში მომხმარებელი საზოგადოება. ქალაქში ბინების დიდი სიძვირეა.

**კ ა ხ ე თ ი.**

კახეთიდან მეტად ნაკლებ მოსავალს იტყობინებიან. არაჩვეულებრივად აუწევია ღვინის ფასს, ამხანად საპალნე (22 ვედრა) ფასობს 210—220 მან. მოელიან, რომ საპალნის ფასი 300—320 მან. ავა.

**გურჯაანი.**

ადგილობრივ სამინისტრო სკოლაში წელს დიდძალი მთხოვნელი იყო, მაგრამ საუბედუროდ უადგილობისა გამო სკოლაში 190 ბავშვიდან მხოლოდ 30 იქმნა მიღებული. ამ რიგად 160 ბავში სკოლის გარედ დარჩა.

**თ ე ლ ა ვ ი.**

კავკასიის სასოფლო-მეურნეობის ინსპექტორმა ს. ნ. ტისოფევმა და ქარ. სამ. საზ. მდივანმა ვ. რცხილაძემ ამასწინად დაათვალიერა სოფ. იყალთოს მამული, რომელიც ქართ. სამეურნ. საზ. ეკუთვნის. მამულის მოწყობა-მოშენებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ვაჟთა პროგიმნაზიას წელს მე-VI კლასი მოემატა. ახალ მასწავლებლებად დანიშნული არიან მ. ქორიძე სიტყვიერებაში, ჯანკო მათემატიკაში, გაგიჩვაძე ლათინურ ენის, მხატვრობაში კულიკი, ექიმად თ-დი გ. ავალიშვილი. ქართულ ენას როგორც ყველგან აქაც ცუდი ბედი ეწვია. ამ საგნისთვის მასწავლებლად წარდგენილი ქ-ნი მრევლიშვილისა (ქუთ. წმ. ნინოს სასწ. კურს დამთავრებული) ქ-ნი მრევლიშილი მზრუნველმა არ დაამტკიცა რადგან მას ქართული ენა სპეციალად არ შეუსწავლია. სხვა მასწავლებელი არავინ აურჩევიათ.

**ივანდიდი.**

იმერეთის ყველა სოფლებიდან თითქმის ერთნაირ ხასიათის სამწუხარო, დამაფიქრებელი ცნობები მოგვდის. აი რასა გვწერენ სოფ. ივანდიდიდან: „ძალზე აცივდა. საყანე ადგილები ხშირ წვიმებისგან სულ ერთიანად ატალახებულია, ჩალები ტაროიანად მიწაზეა მოფენილი და ოხრდება. ხელმოკლე უმწეო ოჯახთ შიმშილი უკვე ესტუმრა, სიძვირე აქეთკენ საზღაპროა.

**ტუაფსე.**

აქაურ ქ. შ. წ. კ. გ. ს. განყოფილების ხელმძღვანელ-თავმჯდომარედ, ნაცვლად ბ. ი. მგელაძისა, არჩეულ იქმნა ბ. ქავთარაძე, აქაურებისაგან კარგად ცნობილი პირი.

**ხიდისთავი.**

აზნაურთა, სასულიერო პირთა და სხვა სამოქალაქო წოდებათა ყრილობაზე დაადგინეს შეუერთდენ გლეხობას ხიდისთავ-ნაგომარის გზის გაკეთებაში. აგრედვე გაინაწილონ გლეხებთან ერთად ფოსტის დასაარსებლად გამოწვეული ხარჯები.

— ადგილობრივ მომხმარებელ საკოოპერაციო საზოგადოების წესდება მთავრობამ უკვე დაამტკიცა, ხალხი დიდის სიხარულით მიეგება საყვარელ და სასარგებლო დაწესებულებას. ერთი დღის განმავლობაში 50-მდე ჩაეწერა წევრად.

**სოფ. სიქტარუა.** (შორაპნის მაზრა) ამ დღეებში ხსენებულ სოფელში თავ. დ. იაშვილს ვიღაც ბოროტ გამზრახველებიდგან მუქარის წერილი მოუვიდა, სადაც სთხოვენ 300 მანეთს. ბ. იაშვილმა ეს წერილი მაზრის უფროსს წარუდგინა. ეჭვით დააპატიმრეს გლეხი ს. ტაშბერიძე.

**ქ. ფოთი.** ქ. ფოთში ზინგერის კომპანიის მაღაზიებში აწერილობა მოახდინეს და საქონელს კონფისკაციას უშვრებიან.

— ქალაქში ნავთის სიძვირეა. ქალაქის გამგეობა ამას ყურადღებას ნაკლებად აქცევს. ქალაქში აგრეთვე შაქრისა და პურის ფქვილის სიმცირეა.

— მთავრობის ნებართვით, ქ. ქუთაისში 13 ოქტომბრისთვის დანიშნულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის რაბინთა საერთო კრება. სარაბინო კრების მიზანია ისეთი პრაქტიკული ღონისძიებათა გათვალისწინება, რომელიც ხელს შეუწყობდეს ქართველ ებრაელთა კულტურულ აღორძინება-წარმატებას, შესაფერი სასწავლებლებისა და სამკითხველო-ბიბლიოთეკების გახსნით ებრაელთა შორის.

## რუსიფიკაცია სოფლად

რომ ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, ეგრედ წოდებული ინტელიგენცია, დღევანდელ უკუღმართ სწავლა-აღზრდის გამო მთლად დამახინჯებულია და მოწყვეტილი სამშობლო კერას, ეს ყველასთვის უკამათოდ ცხადია.

ამ მსხვერპლს თითქოს ყველა შეურიგდა... მაგრამ შეუძლებელია ადამიანმა თავი შეიკავოს და არ აღშფოთდეს, როდესაც ეს საშინელი ავადმყოფობა, სულიერი გადაგვარება, ფეხს იკიდებს სოფლადაც.

თუ გწამს რომ სოფლის სისაღეზე დამოკიდებულია მთელი საქართველოს მომავალი, აუცილებლად საჭიროა ეს უკანასკნელი დავიცათ ყოველგვარ სულიერ შერყვნისაგან. ამ გვარ სულის შერყვნის და გადაგვარების ერთ-ერთ ფაქტორად ჩვენ მიგვაჩნია სასწავლებლის ერთი ჯური, რომელსაც რკინის გზასთან ახლო მდებარე ჩვენ სოფლებში მოუკიდია ფეხი. ამ ტიპის სკოლას ეწოდება რკინის გზის სასწავლებელი. მასთან შედარებით, სამინისტრო და სამრევლო სკოლების მავნებლობაზე არა ითქმის რა, რადგანაც იქ ოდ[illegible]ავ მაინც დაცულია ერის ინტერესი.

ხშირად შეხვდებით, ამ „განათლების კერიდან“ გამოსულ გამოშტერებულ-გამოთაყვანებულ ბავშვს, რომელმაც თუთიყუშივით თუ იცის რამდენიმე რუსული სიტყვა, თორემ რუსულის და მეტადრე თავის დედაენისა არა გაეგებარა. ეს სამწუხარო მოვლენა მით უფრო სავალალოა რომ ხალხი ამ სკოლას უფრო ეტანება, რადგანაც მეტ პრაქტიკულ შედეგს გამოელის და არავითარ ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ ეს სკოლა სულ ერთიანად ამახინჯებს ქართველი ბავშვის სულს.

ამ უკუღმართობის დასამტკიცებლად საკმარისია სოფელ ხაშურის რკინის გზის სკოლის მაგალითი. აქ რვა ასამდე ბავშვია, რომელნიც, მცირე გამონაკლისის გარდა, სულ ქართველობას შეადგენენ. მაგრამ ეს სიჭარბე ქართულ ელემენტისა, სრულიად არ მოქმედობს სწავლის მეთოდზე. აქ ყოველივე ქართული განდევნილია და ისეთივე წმინდა რუსული პროგრამაა, როგორც სადმე ვორონეჟის გუბერნიაში. ზედმეტია ამ გვარი უკუღმართი სკოლის დამღუპველ შედეგზე ლაპარაკი. აუცილებლივ საჭიროა მშობლების შეგნებულმა ნაწილმა აღიმაღლოს ხმა ამ ანორმალობის წინააღმდეგ და დაჟინებით მოითხოვოს 1881 წლის კანონის შემოღება მაინც ამ სკოლებში.

თუ დღევანდელ პირობებშიაც ვერ მოვახერხებთ ამ მცირე კანონიერ მოთხოვნას, სხვა დროს ხომ სულ ველარ მოვახერხებთ და ამ გვარად ჩვენი დაქვეითება აჩქარებულ ტემპით წაგვიყვანს დაღუპვისკენ, ვინაიდან ასეთია ხვედრი ყოველივე უფხო ხალხისა.

**ვ. ც—ლი.**

**პროფესორ ლაბერტონის ახალი წიგნი.**

ჰოლანდიელმა პროფესორმა ლაბერტონიმ გამოსცა ახალი წიგნი შემდეგის სათაურით: „ბელგეთის ნეიტრალობის დარღვევის მორალი გამართლება“. პროფესორი ლაბერტონი ამბობს, ინგლისი მართალი იყო იმ კამათში, რომელიც ბელგეთის გარშემო ასტყდა, მაგრამ გერმანეთს არ შეეძლო არ დაერღვია მოძველებული ხელშეკრულობა. პირდაპირ იძულება ადგა, რომ ეს ნაბიჯი გადაედგა. შეცდომა ჩაიდინა არა გერთანეთმა, არამედ ბელგეთმა, რომელმაც არ მოისურვა ეცნო და ანგარიში გაეწია გერმანეთის უპირატესობისათვის ნებაყოფლობით თავისი-თავი მხსვერპლად გაიმეტა. გერმანეთიო, ამტკიცებს ლაბერტონი, მორალის უმაღლესს საფეხურზე სდგას. იგი მთელი ევროპის მორალად საღი გულია და გერმანეთის გალხისაგან გამოკრთის მკურნალი სხივი ზნეობრივად დაავადებულ ევროპისათვისო. გერმანეთის წინაშე ორი მთავარი მორალი პრობლემა იყო: ერთი თავისთავის დაცვა კაცობრიობის სასამსახუროდ და მეორე—ბელგეთის ნეიტრალობის ხელშეუხლებლობა. ბელგეთმა-კი, იმის მაგიერ რომ მიშველებოდა გერმანეთს თვის პირველ პრობლემის განაღდების საქმეში, მის საწინააღმდეგოდ მომართა ხმალი. გერმანეთს ორი უბედურებიდან უნდა ერთ-ერთი აერჩია და აკი აირჩია კიდეც ნაკლები უბედურება.

სულიერი კონფლიქტით ღელვილი გერმანეთი აჰყვა მაღალ იდეალის ხმას. ბელგეთი-კი, ისიც სულიერი კონფლიქტით ღელვილი დი უფსკრულის პირას დამდგარი, აჰყვა ბოროტების ხმას;მოახდინა ცუდი არჩევანი და დღეს თვის შეცდომისთვის ღირსეულ სასჯელს მკისო. ასეთ უცნაურ ჰანგზე მღერის ჰოლანდიური პროფესორი.

**დაჭრილი და ავადმყოფი ჯარისკაცნი.**

თბილისის ლაზარეთებში იმყოფებიან შემდეგი ქართველი ჯარისკაცნი: უგულავა პავლე გაბრიელის ძე, ნიქაბაძე კონსტანტინე, აბულაძე გერასიმე, ნუცუბიძე სერგო ილარიონის ძე, ხუხუტაშვილი ივანე ლაზარეს ძე, ცხვარაძე ბართლომე ბიჭიას ძე, ჩხეტია ქრისტეფორე პავლეს ძე (კაპიტანი), ხერაძე ივანე გიორგის ძე, ჩიხაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე, შვაგულია ანდრო სიმონის ძე, ჩირაძე ლევან ანტონის ძე, ჩარბაძე რომანოზ სოლომონის ძე, ჩახაშვილი დიმიტრი გაბრიელის ძე, ჯანარიძე ფილიპე სამსონის ძე, ხევურიანი ალექსი გიგოს ძე, ვარდანაშვილი ონიფანტე, ცერცვაძე ნესტორ სიმონის ძე, ყრუაშვილი გიორგი სოლომონის ძე, ჟორჟოლიანი მაქსიმე პავლეს ძე, ძნელაძე ვასილ თედორეს ძე, პოლაძე პოლიკარპე, მატაშვილი გიორგი, მაისურაძე დიანოსი დათას ძე, ნოზაძე ტარასი, გაბესაძე ივანე ალექსის ძე, დობლაშვილი სამსონ, რასანაული გიორგი, სურგულაძე ბიქტორ გიორგის ძე, ეფრემიძე სიმონ პავლეს ძე, შვილდაძე იასონ, ჯანელიძე ალექსანდრე, ფხაკაძე შალვა იაგორის ძე, კახოიანი კაპიტონ მიხაკას ძე.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა

**ქ. ქუთაისი.** ქუთაისის საქალაქო პირველ დაწყებით სკოლებში ქართულ ენას საპატიო ადგილი უჭირავს. ეს გარემოება მითი აიხსნება, რომ ქუთაისის ქალაქის საბჭო და მისი სასკოლო კომისია განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს ამ სკოლაში ქართული ენის სწავლებას. ხსენებულ საბჭოს ნათლად აქვს წარმოდგენილი, რომ სკოლის ბედი და იღბალი და მისი წარმატება უმთავრესად მასწავლებელზეა დამოკიდებული. ასეთ თავის რწმენას, მასწავლებლის შესახებ, ქუთაისის ქალაქის საბჭო და მისი სასკოლო კომისია დღითი დღე აძრიელებს, ვერც ერთ აქაურ საქალაქო სკოლაში უღირს მასწავლებელს ვერ ნახავთ. არამც თუ უღირსს არამედ ბევრი საქალაქო სკოლების მასწავლებლები, როგორც, მაგალითად, ვლადიმერ ნაცვლიშვილი (ლადო ბზვანელი) საუკეთესო მასწავლებლის სახელს ატარებენ. ქუთაისის საქალაქო სკოლების მასწავლებლებს თავიანთი ადგილები შემთხვევითი გარემოებით არა აქვსთ მიღებული და ამითი აიხსნება მათი ღირსება, საქალაქო სკოლაში, რომ მასწავლებელმა ადგილი იშოვოს ამისათვის გამოცდილებასთან და სათანადო მომზადებასთან იგი კარგი ქართული ენის მცოდნეც უნდა იყოს, თორემ ისე საკონკურსო გამოცდაში, რომელი გამოცდაც სანიმუშო გაკვეთილების მიცემაში გამოიხატება, ღელოს ვერ გაიტანს. ზევით ნათქვამში ნათლად დაგვარწმუნა წრევანდელმა საკონკურსო გამოცდამ. ენკენისთვის პირველ რიცხვებში ქუთაისის საქალაქო სკოლებში სამი მასწავლებლის ადგილი იყო თავისუფალი. ჩვენი ახალგაზდობა, საუბედუროდ ჩვენდა, როგორც ვაჟები აგრეთვე ქალებიც ქალაქებს ეტანებიან და ზევით ხსენებულმა თავისუფალმა ადგილებმა ბევრს აუტეხა საღეღელი. სამს ადგილზე ასამდე მთხოვნელი აღმოჩნდა. მთხოვნელების უმრავლესობა ქალები იყვნენ; ბევრი მათგანი უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლის უფლებით იყვნენ შემოსილნი და მთავრობის საქალებო გიმნაზიაში ოქროსა და ვერცხლის მედლით კურს დასრულებულებს ანგარიში არ ჰქონდათ. მთხოვნელებს სანიმუშო გაკვეთილები უნდა მიეცათ ქართულსა და რუსულ ენაში და ანგარიში უნდა დაეწერათ მხოლოდ კონსპექტი ქართულ ენაზე. გამოცდაზე, საკონკურსო ეგზამენის შიშის გამო, მხოლოდ ოცდათი გამოცხადდა. პირველი გამოცდა იყო წერაში, სულ უბრალო ამოცანას კონსპექტი, ოცდაათი კაცისაგან, მხოლოდ ათმა დაწერა რიგიანად, რომლებიც კიდევაც დაუშვეს შემდეგ გამოცდაზე. კონსპექტის რიგიანად დაუწერობის მიზეზი აღმოჩნდა, სასირცხოდ მათდა, ქართული ენის უცოდინარობა, თურმე ნუ იტყვით ჩვენ „ზავედენკებს“ ოქროსა და ვერცხლის მედლით კურს დასრულებულებს ქართული [illegible] [illegible]მით წერა ამ ენაზე, არ [illegible] ფბილი ადგილის შოვნაში ხელი შეუშალოთ. ჩვენ დედა რომ რიგიანად არ გადიან მთავრობის საშუალო სასწავლებლებში ეს არა ერთხელ აღნიშნულა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ, სამწუხარო ის არის, ბევრი ჩვენი ოჯახებიც მთავრობის სასწავლებლებს ბაძავენ და სრულიად არ ცდილობენ თავიანთ შვილებს ქართული შეასწავლონ ოჯახში მაინც და უცხო ენაზე ლაპარაკს შინ მაინც თავი დაანებონ. ქუთაისის წრევანდელი საკონკურსო გამოცდები კარგი გაკვეთილი იქნება ჩვენი „მოპარუსკე“ ქალ-ვაჟებისათვის შემდეგში.—

**მ. ფარცხნალელი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**კახეთის რკინის გზის მიმოსვლა.**

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა დ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღევის | 3 ს. 53 წ |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 53 წ |
| თელავში მიდის ნაშუადღევის | 5 ს. 35 წ |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ |
| წნორზე მიდის | 5 ს. 15 წ |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის | 8 ს. 58 წ |
| გურჯაანში მოდის | 10 ს. 26 წ |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 16 წ |
| გურჯაანში მიდის | 10 ს. 16 წ |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ |

თბილისში ჩამოდის 5 საათზე.

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. | სა[illegible] |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. | სა[illegible] |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. 51 წ. | დღ[illegible] |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. | დღ[illegible] |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. | დღ[illegible] |
| | „ საგარ. | 10 ს. 28 წ. | სა[illegible] |

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. | სა[illegible] |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. | დღ[illegible] |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 55 წ. | სა[illegible] |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. | სა[illegible] |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. | დღ[illegible] |

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

# „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკო[illegible] სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყ[illegible] დება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა „აკაკი და მისი პოეზია“ (რუსულ ენაზე), „სქესობრივი საკითხი და ბავშვი“ ი. გომართელისა, „მსოფლიო ომ[illegible] ეკონომიური მიზეზები“—მასლოვისა, „ცხოვრების სიმღერები“—ბეგლარ ახო[illegible] პირელისა, „კოოპერატივები იტალიაში“—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქა[illegible] თული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფას[illegible] წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Тавартқиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

# თევზის მრეწველნი
# ძმ. ძეძველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ, მაილოვის-შვით“, სამ[illegible] წველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოჩნ[illegible]“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლო[illegible] გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსე[illegible] და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ელექტრომბეჭდავ სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან